KA030166916662017

№ 12-183 **05 / იანვარი / 2017 წ.**

სსიპ-სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის
დირექტორს ბატონ დავით ტორუას
სსიპ - სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის
სამედიცინო მომსახურების, ხარისხისა და გამოძახებათა
მართვის დეპარტამენტის უფროსის ამირან გოგიტიძის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო დავით,

როგორც მოგეხსენებათ, სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი“ 2016-2017 წლის ზამთრის სეზონთან დაკავშირებით, სამთო-სათხილამურო კურორტებზე: დაბა ბაკურიანში, თეთნულდზე და კურორტ გოდერძზე უზრუნველყოფს გადაუდებელი სასწრაფო სამედიცინო დახმარების სერვისის მიწოდებას. ამ მიზნით, შპს „ემერჯენსი სერვის"-სა და სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრ"-ს შორის, 2016 წლის 9 დეკემბერს გაფორმებული N05/12/16 ხელშეკრულების საფუძველზე, შპს „ემერჯენსი სერვის"-მა აიღო აღნიშნულ ლოკაციებზე ბრიგადების განთავსების ვალდებულება.

პირველ ეტაპზე, 2016 წლის 10 დეკემბერს ერთი სამედიცინო ბრიგადა განთავსა დაბა ბაკურიანში (კოხტას სათხილამურო საბაგიროსთან) და ერთი ბრიგადა სათხილამურო კურორტ "გოდერძ"-ზე.

მეორე ეტაპზე ერთი ბრიგადა უნდა განთავსებულიყო 2016 წლის 24 დეკემბერს კურორტ თეთნულდზე, თუმცა პრაქტიკულად სავალდებულო დისლოკაციის ადგილზე ბრიგადა მივიდა 2016 წლის 25 დეკემბერს. ხოლო მიტარბის (ბაკურიანი) სათხილამურო საბაგიროსთან ბრიგადა განთავსდა 2016 წლის 25 დეკემბერს 18:00-ზე.

გთხოვთ შემდგომ რეაგირებას, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არასრულფასოვნად შესრულებასთან დაკავშირებით .

პატივისცემით

სამედიცინო მომსახურების, ხარისხისა და
გამოძახებათა მართვის დეპარტამენტის უფროსი

ამირან გოგიტიძე